



ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს პარლამენტში კომიტეტის სხდომებს გამართავს

პრესრელიზი

12-13 თებერვალი

12-13 თებერვალს, თბილისში, საქართველოს პარლამენტში, (ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზი) აღმოსავლეთ პარტნიორობის (ევრონესტის) საპარლამენტო ასამბლეის 4 კომიტეტის სხდომა გაიმართება:

- პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის კომიტეტი;
- ენერგეტიკული უსაფრთხოების კომიტეტი;
- ეკონომიკური ინტეგრაციისა და ევროკავშირთან საკანონმდებლო და პოლიტიკური დაახლოების კომიტეტი;
- სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტი;

ღონისძიებაში მონაწილეობისთვის საქართველოს პარლამენტს ეწვევა ევროპარლამენტის, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთის საპარლამენტო დელეგაციები. ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ღონისძიებები რეგულარულად იმართება პოლიტიკური დიალოგისა და საპარლამენტო კონსულტაციებისთვის. ევროკავშირთან მრავალმხრივი თანამშრომლობის განსახილველად პარტნიორი პარლამენტები კომიტეტის სხდომებზე რეგულარულად იწვევენ ევროკომისიის, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე განხილული იქნება უსაფრთხოების გამოწვევები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ევროკავშირის როლის გაძლიერება მათ დარეგულირებაში. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებას გააკეთებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა და ევროპარლამენტის წევრი გუნარ ჰოკმარკი. სხდომაზე ანგარიშს წარადგენს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი.

ენერგეტიკული უსაფრთხოების კომიტეტი განიხილავს ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მიმდინარე თანამშრომლობას ენერგეტიკული ეფექტურობისა და ენერგეტიკული მდგრადობის სფეროში.

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ასოცირებული ქვეყნების ახლადშექმნილი სამუშაო ჯგუფი (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) იმსჯელებს ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე.

ეკონომიკური კომიტეტი მთავრობის წარმომადგენლების და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით განიხილავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პერსპექტივებს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

სოციალური კომიტეტი იმსჯელებს დასაქმებულთა სოციალური დაცვის თემატიკაზე და ტუბერკულოზთან ბრძოლის მეთოდებზე.



ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა არის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის საპარლამენტო ინსტიტუტი, რომელიც შედგება ევროპარლამენტისა (60 წევრი) და აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებისგან (10 წევრი თითოეული ეროვნული პარლამენტიდან: აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა. ბელორუსის მონაწილეობა დროებით შეჩერებულია პოლიტიკური მიზეზების გამო). საქართველოს პარლამენტის დელეგაციაში 10 ძირითადი და 5 სათადარიგო წევრია. აღნიშნული ფორუმი საპარლამენტო კონსულტაციების და ევროინტეგრაციულ პროცესებზე ზედამხედველობის გზით ხელს უწყობს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

საკონტაქტო ინფორმაცია

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი
მადონა ნოზაძე, დეპარტამენტის პრესცენტრის უფროსი, 599-557978 | MNozadze@parliament.ge